ნაციონალისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი ოქტომბრის 19 1920 წ. ნაციონალური და აგრარული პოლიტიკის ორგანო № 16 ფასი 10 მან.

მისამართი:

რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სასახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.
რედაქტორის: წყნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22.

ხელის მოწერა:

წლის დამლევამდე — 750 მან. (ფოსტ. ხარჯით).
ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

განცხადებანი

მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტით 1 გვერდზე — 20 მან. 3-4-გვერდზე — 10 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 სტრიქონი — 400 მან.

მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობა

„მწყემსს“,

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამ ხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან

მატყლის ადგილობრივად საფასურად,

მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგებას ნაწილის და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა, ე. ი. . . . 10 პროც.
2) მეცხვარეს ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. . . . . 45 პროც.
3) სახელმწიფოს მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. . . . . 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ-გარეთის ბაზარზე.

მომარაგების სამინისტრო.

განცხადება.

ოქტომბრის 1-დან დაიწყო მოქმედება თბილისის სამონოპოლიო მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიანთ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან — იქ თემებს და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

მატყლის ყიდვა გაყიდვა

პერძო პირთათვის აკრძალულია

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ღირსების, გაშრეცხავი მატყლი 4.000 მან.
ბ) სუფთა — ახალგორის და სხვა რაიონების 4.500 მან.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები **ვალდებული არიან** ადგილობრივ **გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ ვადასატანი ხარჯები გაზიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიჰყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

შენიშვნა: სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

მომარაგების სამინისტრო.

ნაციონალური პარტიის კონფერენცია

შესდგება თბილისში 23 ოქტომბერს (დვინობისთვის 10 ძვ. სტ.)

დღიური წესრიგი:

I. მთავარი კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებანი.
II. პროგრამისა და წესდების განხილვა.
III. სამაზრო მოხსენებანი (დელეგატებისა).
IV. ხალიბო და საპარლამენტო არჩევნების სამზადისი.
V. არჩევნები მთავარი კომიტეტისა
VI. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის წევრთა რიცხვად დაწესებულია 100

კონფერენციის წევრებად უნდა იქნან აირჩეული ის პირნი, რომელნიც დასახელებულ იქ ებიან პარლამენტის საარჩევნო სიაში.

კონფერენციის დელეგატთა ალაგები განაწილებულია მაზრებს შორის დამთუძნებელი კრების აირჩევნებში მიღებულ ხმების მიხედვით (ასზე — ერთი)

მთავ. კომიტ. პრეზიდიუმი

ეკონომიური კრიზისის გარშემო

საეკონომიო კრიზისი მორიგ საკითხად სდგას და თვით მთავრობის თავმჯდომარემ ამ საკითხს მთელი მოხსენება უძღვნა.

მან აღნიშნა, რომ ლიდმა სახელმწიფოებმა უკვე თავი იხსნეს იმ **გაჭირვებიდან**, რომელიც გამოიწვია მსოფლიო ომმა.

ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია მოვახსენოთ ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარეს, რომ საეკონომიო კრიზისს აღარ განიცდიან ამ ჟამად არამც თუ დიდი სახელმწიფოები, არამედ სულ პატარებიც კი.

და ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ არც ერთ არსებულ სახელმწიფოში, დიდია ის თუ პატარა, საეკონომიო ცხოვრების ცვლილება სრულიად არ არის დაკავშირებული სოციალისტურ პარტიებს პროგრამებთან.

თვით ყოველად პატივცემული ბ-ნი კაუცკი, არ უდგია თავის ქვეყანაში საერთაშორისო ფინანსების საეკონომიო საკითხებს.

ამიტომ გულწრფელად ვამბობთ, რომ არ არის არავითარი საბუთი იმისა, რომ კაუცკი ამ საეკონომიო სფეროში საქართველოს რესპუბლიკას, მისთვის სრულიად უცხო მხარეს, მხსნელად მოევლინება.

დღიდან რევოლიუციისა აუარებელი სიმდიდრე სამხედრო უწყებისა, სხვა და სხვა ქალაქთა კავშირებისა და წითელი ჯვრისა იმ გვარ ყაჩაღურ წესით იფლანგებოდა, რომ სულ უკანასკნელი-ათის წლის საყოფი საარჩო და საგაჭრო პატარა საქართველომ ორის წლის განმავლობაში შთანთქა.

ჩვენმა მესვეურებმა შემდეგ სხვა და სხვა მონოპოლიას მიჰმართეს.

აქაც სისტემის უქონლობის ვამ დაღუპეს ყოველივე, რაც კი ჩვენ ქვეყანას ებადა სამუდამოდ თუ არა, დიდი ხანით მაინც.

ეკონომიურად გაკოტრებულ მენშევიკებმა ეხლა შინაურ სესხს მიჰმართეს და ძალდატანებით ფიქრობენ ამ სესხის აღებას ხაზინის შესავსებლად. ამ გვარი დარიგება ბ-ნ კაუცკის მხრივ, რასაკვირველია, საქმეს უფრო გაართულებს და საეკონომიო კრიზისისაგან ჩვენ ვერ გვიხსნის.

ის გზა, რომელზედაც ასე ჯიუტად დგანან ჩვენი მენშევიკები რუსულ ბოლშევიზმისკენ მივგვაქანებს და ყოველივე ჩვენი შრომა, დახმარება და სესხის გამოღება ამაო იქნება, მანამ ჩვენი მთავრობა არ დაადგება იმ გზას, რომელსაც ადგია ყოველი ევროპის სახელმწიფო.

ჩვენ ევროპას ვერ გავაკვირვებთ ვერც ჩვენი კულტურით, ვერც ენგელსი და მარქსით და ის სჯობია მატრაკვეცობას თავი დავანებოთ და ჩვენზე დაწინაურებულს და მცოდნე ხალხს შევხედოთ და სანამ დაგვიანებული არ არის მათი ჭკუა ვისწავლოთ. **ამერი.**

პრესა.

მმართველობა და კონტროლი

„ახალი სხივი“ ეხება მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას ზომებს, ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ მიმართულს, და ამბობს: მაგრამ, ტრაგედია იმაშია ამხანაგო ნოე, რომ თქვენ და ჩვენ ამას ვერ შევსძლებთ მანამ, სანამ აღმასრულებელი ამაკე დროს თავის კონტროლიორია.

ამხანაგი გაგზავნილი სამუშაოთ ამა თუ იმ სახელმწიფო დარგში, უნდა იმყოფებოდეს მუდამ პარტიის კონტროლის ქვეშ და ანგარიშს უწევდეს პარტიული ორგანიზაციის აზრს მისი მოღვაწეობის შესახებ.

პარტიული ორგანიზაცია მას ნდობას ან უნდობლობას უცხადებს, თვალყურს ადევნებს მის მოღვაწეობას, და აფასებს მას.

მთავრობა კი თავის მხრივ უწევს მის მოღვაწეობას კონტროლს, მაგრამ ეს კონტროლი ხშირად ფორმალურია, თუ მას (მომუშავეს) მხარს უჭერს პარტიული ორგანიზაცია. რაც უნდა შეუფერებელი იყოს ის, რაც უნდა მავნებელი იყოს მისი მოქმედება, თუ მას მხარს უმაგრებს პარტიული ორგანიზაცია ის ძლიერია.

ხოლო როდესაც ამ პარტიული ორგანიზაციის სულის ჩამდგმელი, ხელმძღვანელი ან გავლენიანი წევრია ის, მაშინ ის უზრუნველყოფილია. ის კონტროლის გარეშეა და შეიძლება მთავრობის თავმჯდომარეს ყოველ დღე ბულბზე ბოლმა მოდიოდეს, თავის კაბინეტის კედლებს ასკდებოდეს, ბრძანებას ბრძანებაზე გზავნიდეს, მაგრამ ის მოხელე-ამხანაგი აინუნშიდაც არ მოდიოდეს. და ასე მოუა ყველა მინისტრს.“

სოციალდემოკრატიული ქეიფი

იგივე გაზეთი სწერს:

„მე მახსოვს კარგად, რომ ჩვენი ამხანაგები, რომელნიც დღეს სათავეში უდგიან ჩვენს ცხოვრებას, სასტიკად იცავდენ ბურჟუაზიას გალაღებულ ცხოვრებისთვის. მათი აზრით მაშინ ბურჟუაზიის ასეთი გალაღებული ცხოვრება უზნეობა იყო, რადგანაც გვერდით ხალხი შიმშილით სულს ოფავდა.

დღეს კი რას ვხედავთ? ყველაფერი ეს დავიწყეს ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგებმა და ბევრი მათგანი ისე შეეჩვია „კარგ ცხოვრებას“, რომ ვერც კი წარმოუდგენია, თუ როგორ შეიძლება არ იქეიფო და ცრო არ გაატარო კაცმა ამ „ნათხოვარ წუთისოფელში“.

ისინიც ცდილობენ ხშირ-ხშირად გამართონ წვეულებები და რაც შეიძლება ბევრი დახარჯონ. ქორწილი თუ გადაიხადეს, ან ნათლა, მისთვის ხომ მთელ ქვეყანას შესძრავენ.

ჩვენ ვებრძოდით ხალხში დარჩენილ ძველ მავნე ზნე-ჩვეულებებს. ოფლებში „პრიგოვორები“ გამოქონდათ დადებულ დღეობის მოსპობის შესახებ. ეხლა კი, ვინც ამ დღეობებს ებრძოდა თვითონ იმდენ დღეობას იხდის რამდენი სულიც არის ოჯახში. ასე რომ, თუ გლეხს ერთი დღე ჰქონდა დადებული წელიწადში და იმასაც ეუსპობდით, ეხლა ჩვენმა ამხანაგებმა თვითონ დაიწესეს რამოდენიმე დღესასწაული.

შეიძლება ბევრს ასეთ საგნებზე ლაპარაკი დაწვრილმანებად ეჩვენოს. მარ-

თლაც რა არის დამამორალი ან სათაკილო, თუ კი კარგათ ჩაიცვამ და დაიხურავ, სვამ და ჭამ, კარგად და მხიარულად იცხოვრებ? ეოთი შეხედვით ეოაფერი. მაგრამ საკითხავია—ეს კარგი ცხოვრება არის თუ არა ხელმისაწდომი ყველასათვის? ცხადია, არ არის. თუ ოდესმე ყოფილა ხალხი გაჭირვებული, ეს დღეს არის. სიმშილი და სიცივე მუსრს ავლებს ხალხს, ირგვლივ ვესმის ოხვრა-კვნესა და ამ დროს ხედავ, რომ სპეკულიანტების ვალაღებულ, თავაშვებულ ცხოვრების ფერხულში ბევრი ჩვენი ამხანაგიც ჩაბმულა. სწორედ ამ მოვლენას აქვს ის „გამხრწნელი გავლენა“, რომელზედაც „ერთობა“ მიუთითებს. ზოგიერთი ჩვენი ამხანაგების ასეთი ქცევა გულს უტეხს მასსას და მის თვალში სახელი უტყდება დემოკრატიულ წყობილებას...“

დამფუძნებელი კრების წევრი სოც. დემ. დ. თოფურიძე.

„კომუნისტში“ მუშა ტერეზაშვილი სწერს (ქუთაისიდან).

„15 ენკენისთვეს, დღის 5 საათზე, ქუთაისის ქალაქს თავი ბ. თოფურიძე (დამფ. კრებ. წევრია) მოდიოდა ეტლით მიხაილოვის ქუჩაზე, სადაც ქუთაისის ფ. ტ. კანტორის მექანიკი ჯაფარიძე თავის მუშაობით აწარმოებდა მუშაობას და კიდებდა ბოძებზე ცაგერისაკენ გასაყვანს ალაქალაქთა-შორისო ტელეფონის მავთულს. მავთული არ იყო აწეული მიწიდან იმდენზე, რომ ეტლს თავისუფლათ გამოვლო, ვინაიდან 10—15 წუთის განმავლობაში ტეხნიკურად ყოვლად მოუხერხებელია მავთულის გაჭიმვა და ბოძზე ატახა, რისთვისაც მექანიკის ჯაფარიძის მიერ იყო დარაჯათ დანიშნული მუშა, რომელიც აფრთხილებდა მგზავრებს, რომ მავთულს არ გამოდებოდენ, მაგრამ მეეტლემ მუშის ძახი ი და გაფრთხილება ვერ შეამჩნია, ან თუ შეამჩნია, იფიქრა (ვინ ვაბედავს იმ ეტლის შეჩერებას რომელშიც ქალაქის თავი ზისო), და ეტლი არ შეაჩერა, მინამ მავთული მეეტლეს არ მოედო. მაშინ ბ. თოფურიძემ გაცხარებული ძებნა დაუწყო მექანიკოს ჯაფარიძეს, მოძებნა ის და უბრძანა იმ მავთულის გადაჭრა, რაც რასაკვირველია არ შეასრულა ჯაფარიძემ და არც უნდა შეესრულებინა. ვინაიდგან ხაზის გაყვანის მუშაობის მწარმოებელი და მისთვის დანიშნული ტეხნიკები, გაფრთხილებული არიან და სულდილობენ, რაც შეიძლება ხშირად არ იყოს მავთული ვადაბმული, რაც აადვილებს ელექტრონის ნაკადის კარგად გასვლას და ხარჯებსაც ამცირებს. მაგრამ, როგორც სჩანს ბ. თოფურიძეს, უკაცრავათ თუ არ ვიქნები, ან ნაკლებად, და შეიძლება, სულაც არ ესმის ტეხნიკა და ელექტრიკა ან ესმის, მაგრამ ის თავის პირადი სიამოვნებისათვის არ ერიდება მუშის წვალებას.

ეს თუ გინდ არათერი, მან შეურაცყოფა მიაყენა მექანიკ ჯაფარიძეს. მის მიერ სამსახურის შესრულების დროს, მიმართა შემდეგი სიტყვებით: „Вонъ, сволочь, дуракъ, арестовать его,“ არ მისცა საშვალება თავის გამართლების, მიატოვებია სამუშაოუპატრონოთ, უხელმძღვანელოდ, მუშებს ამარა და გააგზავნა ქალაქის მილიციის უფროსთან.

მკითხველმა თვითონ დააფასოს ბ-ნ თოფურიძის ასეთ უმგვანო მოქმედებაო.“

ლაკეშები

ფრანგული ცხოვრები

ვარშავიდან იუწყებიან: მარშალი **პილსუდსკი**, რომელიც წინააღმდეგი იყო პოლონეთ-ლიტვის საქმეში გარეშე ძალთა ჩარევისა, გადადგა, მაგრამ მთავრობის დაჟინებითი მოთხოვნის გამო დროებით ისე დაბრუნდა.

„ეკო დე პარი“ ცნობის თანახმად საფრანგეთის მთავრობამ ინგლისის მთავრობას ნოტით მიმართა **ზარალის ანაზღაურების** საკითხის შესახებ.

სტრასბურგში უკიდურეს სოციალისტური პარტიის კონგრესი **ვატიკანთან დამოკიდებულების** აღდგენისა და კონსტიტუციის გადასინჯვის წინააღმდეგ წავიდა.

პალატების სხდომები ნოემბრის 8 განაახლდება.

პრაგიდან იუწყებიან: **თავადი** საპიგა აქ იმყოფება. მას სურს მოლაპარაკება გამართოს **მცირე ანტანტაში** პოლონეთის შესვლის შესახებ.

დორპტში **რუსეთ-ფინეთის** ზავს ხვლი მოაწერეს.

გაზეთ.. (დამახინჯებულია) კონსტანტინოპოლის კორესპოდენტი აუწყებს: საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის უმაღლესი კომისარები მიიღო სულთანმა, რომელთაც მიუთითეს მათ ოსმალეთის საფრთხეზე ანტოლიაში ნაციონალური მოძრაობის გაძლიერების გამო. ამავე გაზეთს ლონდონიდან აუწყებენ, რომ შემდეგ კონსტანტინეპოლში ზომიერ ნაციონალისტებთან დაიწყო თათბირი ანატოლიის დამშვიდების შესახებო.

საფრანგეთის ბიუჯეტი.

შაბათს დილით შესდგა მინისტრთა საბჭოს სხდომა მილიერანის თავმჯდომარეობით. ფინანსთა მინისტრმა ფრანსუა მასალმა საბჭოს წარუდგინა 1921 ხარჯთაღრიცხვის პროექტის ვარაუდი. სხდომამ შემდეგი მთავარი დებულებები მიიღო. 1921 წელ. პარლამენტს არავითარი წინადადება არ მისცენ ახალი გადასახადების დაწესების შესახებ. ჩვეულებრივი საბიუჯეტო გასავალი, რომელიც 1920 წ. გამოანგარიშებულია იყო 21 მილიარდით 761 მილიონით. მინისტრთა პირველი მოთხოვნით აღწევდა 26 მილიარდსა და 160 მილიონს, მაგრამ შემაცირეს 22 მილიარდსა და 27 მილიონამდე. ჩვეულებრივი ბიუჯეტი დაიფარება გადასახადია შემოსავლით. არაჩვეულებრივი ბიუჯეტი შეადგენს გამონაკლისს. ეს გასავალი ომის შედეგებით არის გამოწვეული. არაჩვეულებრივ ხარჯთ-აღრიცხვის ვარაუდი დაახლოვებით 5 მილიარდსა 99 მილიონს აღწევს. სავანგებო ბიუჯეტი რომელიც საზავო ხელშეკრულების პირობების ასრულებისაგან უნდა დაიფაროს დაახლოვებით 16 მილიარდსა და 575 მილიონს უდრის. ფინანსიური კანონ-პროექტი ამ რამდენიმე დღის შემდეგ დაიბეჭდება.

უკანასკნელი ცხოვრები

ფრანგული რადიოტელეგრამა, რომ გერმანიის საგარეო სამინისტროს ცნობით მოსკოვში ბალშევიკების წინააღმდეგ აჯანყება დაწყებულა და კრემლი აუღიათ.

გენერალური შტაბის ცნობა.

ოქტომბრის 17 ნაშუადღევის 3 საათზე კრეისერ „ალმაზის“ კომანდირმა ულტიმატიური წინადადება გამოგვიგზავნა, მისთვის ნება დაგერთვა რომ მას კრეისერზე ყაზახები შეეყვანა: წინააღმდეგ შემთხვევაში ის ემუქრებოდა, რომ იგუმენოვის ნაპირებს სროლას აუტეხდა. ამაზე მე კატეგორიული უარით უპასუხე და წერილობით გადავეცი მას რომ სროლაზე ჩვენც სროლით უპასუხებთ. საღამოს 7 საათზე იგუმენოვსთან მოვიდა ერთი გემი და წყალქვეშა ნავი, რომელიც აგვიტეხეს სროლა. ნაპირზე გადმოსხეს ტყვიის მფრქველებით შეიარაღებული ყაზახები და ბრძოლა დაგვიწყეს. ბრძოლის დროს დაიჭრა მე-2 ბათალიონის ლეიტენანტი მაჭავარიანი და ერთი ჯარისკაცი. სხვების შესახებ ჯერ არაფერი გამორკვეულა. მტერს ებრძვის ჩვენი ბატარეია და ჯარის ნაწილი. გაგზავნილია აგრეთვე დამხმარე ძალა ტყვიის მფრქველებით შეიარაღებული. ბრძოლა გრძელდება. ბრძოლის შედეგს ხვალ დილით გამცნობთ. ოქტ. 17. საღამოს 10 საათი და 40 წუთი. პოლკოვნიკი მაჭავარიანი.

მთელი ღამის განმავლობაში ყაზახები გემზე აყავდათ. დილის 4 საათზე გემები უკვე ჰორიზონტზე იყო. ჩვენ დაგვიჭრეს 2 ოფიცერი, მოკლულია 2 მილიციონერი, ერთი აბზაზი და რამდენიმე ჯარისკაცი. ყაზახთა დანაკლისი დიდია, მაგრამ მათი ყველა დაჭრილი და მკვდარი გემებით წაიღეს. ბნელი ღამისა და ჩვენი სიმცირის გამო გემის ყაზახებით დატვირთვას ხელი ვერ შეუშალეთ. ოქტომ. 18. დილის 9 ააათი და 30 წუთი. პოლკოვნიკი მაჭავარიანი.

ბერმანული ცნობები

გერმანული პრესა საფრანგეთის განცხადებას იმის შესახებ, რომ ანტანტა გერმანიას **ზარალის ასანაზღაურებლათ** 170 მილიონ მარკას მოსთხოვს სთვლის სულელურათ და ფანტასტიურათ.

ამერიკის ნახშირით დატვირთული მეორე გემი, რომლის წყალწყვა 1600 ტონს უდრის და რომელიც გერმანიის სამრეწველოებისათვის არის დანიშნული, ჰამბურგში იტვირთება. ამ ნახშირის ლირებულება 14 მილიონ მარკას უდრის. ამ რაოდენობის ნახშირის გამოგზავნა ადასტურებს იმას, რომ გერმანიაში ნახშირის დიდი ნაკლებობა არსებობს.

მოსკოვი, ოქტომბრის 16 რადიო ცნობა. სპასკის და მოლოდეჩნოს მიმართულებით ჩვენი ჯარები ახალ პოზიციებისაკენ უკან იხევენ. მინსკის რაიონში მოპირდაპირე 100 ვერსის ფრონტის გასწვრივ მკაცრ შეტევას აწარმოებს. მკაცრი ბრძოლების შემდეგ ოქტომბრის 15 ჩვენმა ნაწილებმა დახტოვეს მინსკი. სლუცკის სამხრეთით მკაცრი ბრძოლები გრძელდება. ნოვო ულიცის რაიონში მოპირდაპირე განაგრძობს მკაცრ შემოტევას. ბორისლავის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა კონტრშეტევით უკუ აგდეს მტერი და ხელთ იგდეს 9 ტანკი და 5 ტყვიის მფრქვეველი.

რუსეთის ცხოვრებიდან

სამხედრო ცნობა.

ცნობა. ოქტომბრის 17 პოლოცკის რაიონში ჩვენი ჯარები სახელმწიფო საზღვრებისაკენ იხევს. მინსკის რაიონში პოლონელები განაგრძობენ შემოტევას, რომელსაც ჩვენები იგერებენ. სლუცკის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს რა მოპირდაპირის შემოტევა, თვით გადავიდენ შეტევაზე და სლუცკის აღმოსავლეთით რამოდენიმე სოფელი აიღეს. ლუნინეცის მიმართულებით ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები სწარმოებს. სარნის მიმართულებით მდინარე აბორტის გასწვრივ შემოტევა მოვიგერიეთ. ნოვგოროდ-ვოლინის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ნოვოგრად-ვოლინსკზედ აღმოსავლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით 10 ვერსის მანძილზე მდებარე სოფლები აიღეს. სტარო-კონსტატინოვოს რაიონში მტერი არტილერიის ცეცხლის ქვეშ დიდი ძალებით აწარმოებს შემოტევას, რომელსაც ჩვენი ნაწილები იგერიებენ. პროსკუროვის რაიონში მკაცრი ბრძოლები სწარმოებს. ლეტიჩევის ფრონტზე სწარმოებს ცვალებადი ხასიათის ბრძოლა. ჩვენ ქალ. ლეტიჩევი დავიბრუნეთ. ბერისლავის რაიონში ჩვენი ნაწილები განაგრძობენ შეტევას. ნიკოპოლის რაიონში ჩვენი ჯარები შეტევას ნიკოპოლის წინააღმდეგ აწარმოებენ. ალექსანდროვსკის რაიონში დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ალექსანდროვის დასავლეთით და სამხრეთ დასავლეთით 20 ვერსზე მდებარე სოფლები ავიღეთ. სიხელნნიკოვოს რაიონში მოპირდაპირე ჩაპლინო-პოლოგის რკინის გზის აღმოსავლეთით შეტევაზე გადმოვიდა. ჩვენმა ნაწილებმა მოკრიე იამისა და კაშლაგაჩის მდინარეთა შორის მდებარე ახალი პოზიციები დაიკავეს.

ინტერნაციონალის დელეგაცია და საქართველო

(ფრანგული რადიო)

მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა რენოდელმა, ინგელსმა და მარკემ მოკავშირე სახელმწიფოების სოციალისტებთან ერთად, რომელთა შორის ვანდერველდეც იყო, საქართველოში იმგზავრეს. მათ ნაკეს საქართველო, რომელიც გამსჭვალულია ორი იდეით: ეროვნულ დამოკიდებულებლობისა და დემოკრატიზმის იდეით ქართველებმა, რომელთა მართვა-გამგეობა დაყრდნობილია დამფუძნებელ კრებაზე და ხელთ უჭირავთ სოციალ-დემოკრატებს დიდს პატივისცემით მიიღეს ისინი. (გამოტოვებულია) პირველებმა აღნიშნეს აუცილებლობა რომ ის. (დამოუკიდებლობა) გყოს დაცული (გამოტოვებულია) ბოლშევიკების წინააღმდეგ ხანგრძლივ ბრძოლაში, დემოკრატიულ იდეალებით გამსჭვალული საქართველო თავისუფლებისათვის მზათ არის. ყოველ ველზე იგი ოაზისს წარმოადგენს აზრის იმ ნაწილში სადაც ბოლშევიზმია გამეფებული (გამოტოვებულია) ინგელსმა და მარკემ ინახულეს ტრაპეზუნდი, სადაც აღმართულია წითელი დროშა, მკვდარი ტრაპეზუნდი რომელსაც მართავს 6 ბოლშევიკისაგან შემდგარი კომიტეტი.

ქრონიკა.

ბალშევიკების ადმინისტრატიული დაპატიმრება

„კომუნისტს“ ეწყობა შინ. საქ. მინისტრის დადგენილების ტექსტი ბალშევიკების ადმინისტრატიული დაპატიმრების შესახებ:

„მე შინაგან საქმეთა მინისტრმა, განვიხილე მოხსენება განსაკუთრებული რაზმის უფროსის შესახებ (სახელი და გვარი კომუნისტის) და მივიღე რა მხედველობაში, რომ აღნიშნული პირი როგორც სჩანს მოგროვილი ცნობებიდან, იღებდა ფულებს უცხოელ სახელმწიფოსაგან და ამ ფულით ეწეოდა აგიტაციას იმ სახელმწიფოს სასარგებლოთ, იძენდა აგენტებს ამ მიზნისთვის, ეწეოდა არალეგალურ მუშაობას როგორც მოქალაქეებში, ისე ჯარში საქართ. დემოკრატ. რესპუბლიკის წინააღმდეგ, დავადგინე: თანახმად 1919 წლის 21 ნოემბრის დეკრეტისა... როკორც მავნე პირი რესპუბლიკისათვის დატუსაღებულ იქნას 1 წლით დღიდგან შეპყრობისა...“

გაზეთი "ბარიკადი"

გამოვიდა ყოველ კვირეული გაზეთი ცისფერ ყანწელების „ბარიკადი“ ტიციან ტაბიძის რედაქტორობით. გაზეთში მოთავსებულია: მეოთხური — ბარიკადები „ჩვენი სეზონი“ პოლო იაშვილის „საქანელა და სახრჩობელა“ გრ. რობაქიძის „ოქროს ტრირეკა“ ალ. არსენიშვილის „მანიფესტი აზიას“ ტიციან ტაბიძის „ბარიკადებზე“ ნ. მიწიშვილის ლექსები, ქრონიკა, ავლაბრის აკადემია, ბაზელის სანატორია. და სხვა.

გორში მიწების ჩამორთმევის გამო

გორის კომიტეტის თავჯდომარემ, იუსტიციის მინისტრმა შემდეგი „განმარტება“ გამოსცა:

შერეულ კომისიის წევრის მომართვის გამო, მესახებ კომისიის მოქმედების და დადგენილების განსაჩივრების წესისა, განვმარტავ შემდეგს:

შერეულ კომისიის მოქმედება და დადგენილებანი გარდა ისეთებისა, რომელიც განსაჩივრებას არ ექვემდებარება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სათანადო სასამართლოში საერთო წესით ვადა განსაჩივრებისა განისაზღვრება სამოქალაქო კანონებით.

შავი ქვის საქმე

ზ. გურულის მოხსენებით, დღეს როცა ომის გამო დამშეულმა ბაზარმა აქტიობა გამოიჩინა, ჩვენ მრეწველებსაც აღძვრიათ მადა დაუწყიათ დატვირთვა არა მარტო 1897 წელში ჩამოზიდულ მიწების, რომელზედაც ნაწილის ტყეები წ-ფნარს დამგვანებია, ახლათაც სდგამენ ბანებზე მიწათა გორებს, თხრიან და მოაქვთ მაღაროებიდან ფერდოებზე ოდესლაც გადმოყრილ ნარჩევ მიწას, ხვეტენ გზაში ტალახს და სილას, შავიქვის წვენისგან გაშავებულს.“

კ ო ო პ ე რ ა ც ი ა

— მომარაგების საშინისტროს დავალებით ცეკავშირი აწყობს აჭარის სხვა და სხვა პუნქტებში სასურსათო დუქნებს.

— ქუთაისის რაიონის კოოპერატივთა კავშირის თხოვნით საქ. ცენ. კოოპ. კავშირმა აღძრა შუამდგომლობა ფინანსთა სამინისტროს წინაშე ხუთ-მილიონიან გოძელ ვადიან სესხის მიცემის შესახებ რაჭის მაზრის ეგრეთ წოდებულ „ყიფიანის ღვინის“ გასაღებას — როგორც საქართველოში, ისე საზღვარ-გარეთ კოოპერატიულათ მოსაწყობათ.

— ცეკავშირმა შეიძინა საავტომობილო საზოგადოება „ჩემოსაგან“ ათიათასი ტონა შავი ქვა საზღვარ-გარეთ გასატანათ.

ჯარში გაწვევა ახალგაზრდათა.

თბილისის ქალაქის სამხედრო განყოფილების მიერ გამოქვეყნებულია 1900 წელში დაბადებულთა სია. გამოქვეყნებულია აგრეთვე სია იმ პირთა, რომელნიც შეტანილნი უნდა ყოფილიყვნენ სათანადო კომისარიატების მიერ ჯარში გასაწვევ სიებში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო არ იყვნენ გაწვეულნი. ამ პირთა გვარები არ არის შეტანილი იმ მიზეზებით, რომ ისინი ვერ მოძებნა კომისარიატმა, თვითონ კი არ გამოცხადდენ. ამით ქალაქის საბჭო ყველა საზოგადო, სახელმწიფო და კერძო პირს წინადადებას აძლევს, აცნობონ ქალაქის საბჭოს სამხედრო განყოფილებას ბინადრობა იმ პირთა, რომლებიც ამ სიებში არის აღნიშნული.

მიწის საქმეები.

მიწად-მოქმედების სამინისტრომ იუსტიციის სამინისტროს მიმართა განცხადებით, რომელშიაც აღნიშნულია: ვინიდან სახელმწიფო მამულების ყოფილი სამმართველოები, რომლებიც ხაზინის ინტერესებთან დაკავშირებულ საქმეებში იღებდენ მონაწილეობას, გაუქმებულია და მათი საქმეები მიწადმოქმედების სამინისტროზე არის გადაცემული, ამიტომ სასამართლო დაწესებულებებმა ძველი საქმეების გარჩევაზე დასასწრებლად ცნობა მიწად-მოქმედების სამინისტროს უნდა გაუგზავნონ. იუსტიციის სამინისტრომ სასამართლო პალატის პროკურორს წინადადებით მიმართა გამოსცეს საერთანადო განკარგულება.

რეკვიზიციების შესახებ.

(ბრძანება შინაგან საქ. მინისტრისა).

ხშირად მოსდიოდა ცნობები, რომ ზოგიერთი პირები სხვადასხვა საზოგადო დაწესებულებების სახელით ახდენდენ რეკვიზიციას სურსათ-სანოვაგის და განსაკუთრებით-კი ნახშირისას. ასეთ შემთხვევას ქონდა ადგილი ამა წლის 8 ოქტომბერს. ჩემ მიერ დანიშნულ კვლევა-ძიებით დამტკიცდა, რომ ერთ-ერთ ტყის მცველმა ყარაიაზის ტყის გამგის ბურავლიოვის დავალებით დაიჭირა ერთი ურემი ნახშირი, რომელიც უნდა გადასცემოდა ვარე უბნის მილიციის უფროსს და რომელთაც წინასწარი მოლაპარაკება ქონებიათ ინჟენერ მალიავსკისთან მისთვის ნახშირი ეშოვნათ.

ვსცნობ რა ასეთ მოქმედებას ყოვლად დაუშვებლად, რაიც იწვევს ნახშირის ბაზარზე შემოტანის სრულიად შეწყვეტას და შეაქვს ისედაც გართულებულ ეკონომიურ დარგში არევ-დარევა, ვუცხადებ სასტიკ საყვედურს თბილისის მაზრის მილიციის უფროსს საქმისადმი ასეთ გულგრილობის გამოჩენის გამო და ვუბრძანებ სასტიკი თვალ-ყური ადევნოს ამგვარ მოქმედებას და მიიღოს ყოველგვარი კანონიერი ზომები მის მოსასპობათ. გარე უბნის მილიციის უფროსი კი გადაყენებულ იქმნას სამსახურიდან, ხოლო ყარაიაზის ტყის გამგის ბურავლიოვის მოქმედება ეცნობოს მიწად-მოქმედების მინისტრს სათანადო განკარგულებისათვის.

ქართული თეატრი

„გუშინდელნი“

15 ოქტომბერს ჩვენი თეატრის სეზონი გაიხსნა სახელმწიფო დრამის თეატრში. მას შემდეგ როდესაც თვით სახელმწიფომ იკისრა თეატრის შოვლა და პატრონობა, ქართულ თეატრს ახალი ხანა დაუდგა.

გვესმოდა, რომ კარგა ხანია მსახიობები ემზადებიან და ვფიქრობდით, რომ წრეევანდელი სეზონი საუკეთესო პირობებში იხსნება, თეატრის ცხოვრება მკვიდრ ნიადაგზე სდგება და აი ამიტომ მოველოდით სეზონის ზეიმით გახსნას. სინამდვილეში კი ფარდა აიხადა და ისე დაიწყო წარმოდგენა, თითქოს არაფერი ახალი, არაფერი ცვლილება არ მომხდარიყოს ჩვენი თეატრის ცხოვრებაში, თითქოს ეს პირველი წარმოდგენა კი არა მეოცე მიდიოდეს ამ განახლებულ სეზონში.

ასეთ შთაბეჭდილებას კიდევ მეტად ხელს უწყობდა პატივცემულ შალვა დადიანის კომედია „გუშინდელნი“, რომელიც იქნებ კარგი იყვეს პროვინციის თეატრისთვის და არა სატახტო ქალაქის სახელმწიფო დრამისათვის და ისიც სეზონის გახსნის პირველ დღეს, როდესაც თითქმის მთელი ჩვენი მინისტრები თავიანთი ამხანაგებით და თვით მთავრობის თავმჯდომარე, ბ-ნი ნ. ჟორდანია იქა ბრძანდებოდენ.

შეიძლება მინისტრების პროვინციალური პატრიოტიზმი დაკმაყოფილებული და ნასიამოვნებიც იყო ბ. შალვა დადიანის პიესით, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოელ მაყურებლისათვის იგი მგონი დიდი არაფერი საინტერესო უნდა ყოფილიყო. ჩვენ ველოდით უფრო სერიოზულს და უფრო შინაარსიან პიესას,

პირადათ ჩვენ შალვა დადიანს დიდათ ვაფასებთ და პატივსა ვცემთ ძის პატრიოტობას, მაგრამ ამ პიესაში, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ამ სცენებში ვერა აქის ფარულად ფრთა გაშლილი პატრიოტიზმს.

„გუშინდელნის“ პიესის ავტორს სხვათა შორის ალბათ მამასახლისის ქალის აგრაფენას (ნ. ჩხეიძეს) პირით ისიც უნდოდა ეთქვა რომ ძველი რეჟიმის მაზრის ოფროსები, ეგრეთ წოდებულნი რუსის „უეზდნი ნაჩალნიკები“, მაზრებში არაფერს აკეთებდენ: არც გზებს, არც ხიდებს, არც სკოლებს და ყველაფერს აოხრებულს სტოვებდენ, მაგრამ ეს მეტათ სუსტათ, თუ არა ბუნებრივათ, არის დახატული და ალბათ ამის ბრალი იყო, რომ ქ-ნ ნინო ჩხეიძის ტირილმა, რითაც დამთავრდა პიესა, ვერ მოახდინა მაყურებლებზე ჯეროვანი შთაბეჭდილება.

მომქმედ პირებში ქალთაგან ჩვენი ყურადღება მიიქცია ქ-მა ან. ქიქოძემ (კენინა ჩიტუნიამ) და ა. ლოლუამ (თავადის ასულმა ფაციამ). ფოფოდიას ამსრულებელ ქ-ნ ე. ციმაკურიძესაც არა უშავდა რა.

რაც შეეხება მამაკაცებს, ბ. ვასო აბაშიძის შემდეგ, ამ სალამოს პირველი ადგილი უსათუოდ მსახიობ მ. გელოვანს უნდა ვაკუთვნოთ, რომელიც ჩინებული იმერელი თავადიშვილი იყო. (თავადი კოწია).

ქართულ სცენაზე, თუ არ ვსცდები, პირველად გამოსულმა მსახიობმა გ. დავითაშვილმა ტიპიური მაზრის უფროსი ლაგვიხარა. მისი ხმა, გარეგნობა და მანერები გვეუსნება რომ ჩვენი სცენისთვის

კარგი ძალა უნდა იყოს. ნიჭიერი მსახიობი მ. ჭიაურელი (თ-დი გორგასლანი) ამ სალამოს სტრაჟნიკის როლს თამაშობდა, რომელსაც სცენაზე ფრანგული ჭიდაობაც დასჭირდა. ჩვენი აზრით პიესა არის იზარალებდა თუ ამ ჭიდაობას სულ შეელეოდა.

მანი.

კორესპონდენცია
ქუთაისიდან
უხიმერიონი

ჩვენი ქვეყნის თითქმის ყოველ ძველ ქალაქში შეხვდებით ისტორიულ ძველთა ნაშთებს, რომელნიც უნებლიედ იწვევენ ყოველ თანამედროვე შეგნებულ ქართველის გრძნობა—გონებაში ეროვნულ სიამაყეს, ხოლო მათ აღმშენებელთადმი უწმიდეს გრძნობებს, სალმრთო მოწიწებას, უსაზღვრო სიყვარულს და პატივისცემას.

ამ მხრივ ფრიად საინტერესოა და საყურადღებო ქუთაისში, ეგრეთ წოდებული „არქიელის მთა“, სადაც ქრისტეს მოსვლამდე რამდენიმე საუკუნით ადრე გაშენებული იყო ქალაქი სხვა და სხვა ეპოქებში სხვა და სხვა სახელწოდებით, ხოლო დაბოლოს ქუთაისად აღიარებული, რომელიც უძველეს დროიდან იყო დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ-კულტურულ-ისტორიული ცენტრი, სადაც ცხოვრება ძველად დუღდა და გადადუღდა.

აი, ამ „არქიელის მთაზე“, შესანიშნავ და თვალ წარმტაც ბაგრატის ტაძრის ნანგრევების გვერდით არის ძველთა-ძველი მეტად ღირს შესანიშნავი ნაციხვარი, რომლის საფუძველი უკვე ქრისტეს მოსვლამდის არის ჩაყრილი. მეექვსე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ ეს ციხე და მისი მიდამოები იყო ასპარეზი, მიზეზი თვით მოწამე საშინელ სპარსთ-საბერძნეთის ომებისა. ეს ორი მაშინდელი ძლიერ მეტოქე სამეფონი ერთმანეთს ხელიდან ართმევდნენ ამ მეტად დიდ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებს და ვინც იყო მფლობელ პატრონი ამ დიდად ცნობილ ციხისა, რომელსაც ბერძნები უწოდებდნენ „უხიმერიონს“, ანუ „ევხიმერიონს“, მას უკვე ქონდა ხელში გასაღები მეტად მდიდარ და ოქრო მადნეულობით გათქმულ რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთისა, ვინაიდგან მათკენ მიმავალ მხოლოდ ერთად ერთ გზას იცავდა და დარაჯობდა თავის ფორტეცებით ზემო დასახელებული ციხე უხიმერიონი, აღმართული მეტად მოხერხებულ მაღალ მთაზე, საიდანაც კარგად გამოიყურება როგორც სვანეთის გზა, აგრეთვე მისი მიდამოები. ციხის შემოხაზულობას ოთხი მხარის სადარაჯო კოშკებით უკავია 3600 ოთხკუთხი საჟენი მეტად კარგი და თვალ საჩინო არე. ძველად ციხეს ქონია გაყვანილი წყაროზე ხელოვნურად გაკეთებული გვირაბი, რომ მტრის შეუმჩნევლად წყალი ამოეტანათ. ეს წყარო და სანახევროდ დაბერეული მისი გვირაბი დღესაც არსებობს. შიგნით შუა ადგილას ციხეს ქონია ქვის ტაძარი ბაზილიკის ტიპისა, რომლის თაღები დროთა ვითარების გამო ჩამონგრეულა, ხოლო მის დარჩენილ კედლებს დღითი დღე არღვევს თუ შეუბრალებელი სტიქიონი, თუ შეუბრალებელი ადამიანის ხელი. დასავლეთით ეტყობა ყოფილა კიდევ განსაკუთრებული შენობები ციხის საჭიროებისათვის.

თუმცა მრავალ საუკუნოებით საშინელმა სტიქიონმა ამ ციხეზე გაიარა გრიალით, მაგრამ ამ მეტად შესანიშნავ ციხის საფუძველი, ცოკოლი და ერთ არშინზე კიდევ მეტი კედელი დღემდე გადარჩენია ყოველის დამრღვევ სტიქიონს, მაგრამ ეხლა სტიქიონის მაგივრობას უწევენ ამ ძველ ციხის კალთებში ქურდულად შემოპარული მისახლებული ოჯახები, რომელნიც ამ ისტორიულ ნაშთს რამდენიმე წელიწადია ძირს უთხრიან, იქიდამ ქვებს იღებენ და ყიდიან და არავინ არის ამ ძვირფას ნაშთის გულშემატკივარი, რომ შეაჩეროს მისი რღვევა და განადგურება. ამისანა საშინელი და შეუწყნარებელი ვანდალიზმი რომ მომხდარიყო რუსების პატრონობის დროს, როდესაც ჩვენ ხელ-ფეხი შებორკილი გვქონდა და ენა დადუმებული, მაშინაც მთელი ქვეყანა უნდა შეგვეძრა და ჩვენი მთელი ინტელიგენტური ძალები აგვემხედრებია მის გადასარჩენად და დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონი ჩვენ თვითონ ვართ, განა მოსათმენია ჩვენი ეროვნულ ნაშთის ჩვენ თვალ წინ განიავება და მოსპობა? რით გავიმართლებთ თავს? რა უფლება გვაქვს გულგრილად და დაწყნარებული სინიდისით უცქიროთ ამ გვარ საშინელებას და ბოროტებას. ნუ თუ ისე უმეცარნი ვართ, რომ არ ვიცით ამ ძველი ისტორიულ ნაშთის მნიშვნელობა? სად არის ქუთაისის ინტელიგენცია? ნუ თუ მას არ შესწევს უნარი შეინახოს და დაიცვას თავის დიდებულ წინაპართა უხსოვარ დროის ნაჭირნახულევ ძეგლთა ნაშთები? სად არის ქუთაისის საეტნოგრაფიო—არხეოლოგიური საზოგადოება, რომელიც ბუნებრივად მუდამ დარაჯად უნდა ედგეს ამ ეროვნულ ნაშთს; ნუ თუ მისი მოვალეობაა ყური უგდოს, იზრუნოს—შეაკეთ-შეამაგროს მხოლოდ ბაგრატის ტაძრის ნანგრევები ეს მეთერთმეტე საუკუნის ძეგლი და ამ გვარი ყურადღება—სიყვარული და ძოვლა მოაკლოს უძველეს უხიმერიონის ციხის ნანგრევებს, რომელიც აოის ჩვენი ეროვნული ძეგლი ქრისტეს მოსვლამდის და ადვილად შეიძლება თვით კერპთთაყვანისცემის ხანასა? შეიძლება ამ სუსტი წერილის შემდეგ მაინც მოაქციოს ქართველმა შეგნებულმა საზოგადოებამ სათანადო ყურადღება ამ მეტად დიდ მნიშვნელოვან ეროვნულ ძეგლს უხიმერიონს და დაიხსნას ის ყოველ დღიურ განუწყვეტლივ განადგურება—გაევრანებისაგან.

ეს ნაშთი რომ რომელიმე ევროპის განათლებულ ერის ყოფილიყო, ნახავდით, რა მშვენიერებას წარმოადგენდა და რა კეთილ-მოწყობილ-მოვლილი იქნებოდა! და რა ეროვნულ სიყვარულის სიღრმეში იქნებოდა იგი ჩაფლული!

მერმეთ ეს ადგილი, ისედაც რომ აქ ძველი ნაშთები არ იყოს, მეტად კარგი და სასიამოვნოა თავის თავად, თავის საუცხოო მდებარეობით, რომელიც გადასცქერის მთელი ქუთაისის და მის მეტად ლამაზ მიდამოებს, გელათს და გიმაჟ-ცელქ რიონის საზღაპრო ნაპირებს. უხიმერიონს რომ გულშემატკივარნი გამოჩენოდნენ აქ ბევრი რამ კარგი გაკეთდებოდა. შეიძლებოდა აქ თავის მოყრა ყველა გაბნეულ ძველ წყაროებისა, რითაც, რასაკვირველია, პირდაპირ გაბედნიერდებოდა მთელი ამ მთის მცხოვრებლები, რომელნიც ს ღარიბისა გამო წვიმის წყალს ხმაროობენ, და ამ მიზეზით მიუხედავათ იმისა, რომ ეს მთიანი ადგილია და აქ კარგი ჰავა არის, ყოველ გვარი გადამდები სენი პირველად აქ ჩნდება ხოლმე. წყლის გამოყენების შემდეგ თვით ამ ნაციხვარზე და მის ფერდობ-კალთებზე შეიძლებოდა ძვირფასი თვალის დამტკბობი ბაღის გაშენება ფართო მასშტაბით—ტროპიკულ დეკორატიულ მცენარეებით, ასე რომ ეს ადგილი მაშინ მშვენიერ წალკოტად გადაიქცეოდა და ეს ძველი ნაშთი საყვარელ-სახსოვარი შთამომავლობისათვის, თან შეეძენებოდა საზოგადოებრივ საზაფხულო სანახაობელ—საგრილობლად ადგილობრივ ქუთაისის მკვიდრთათვის იულისის თავბრუ დამსხმელ სიცხეების დროს.

ამბობენ, რომ ქუთაისის ქალაქის თავს ბ. დ. თოფურიძეს, სხვათა შორის, მიზნად დაუსახავს ამ ძველ ისტორიულ ნაშთებზე ზრუნვა, ღმერთმა ინებოს.

ხურგანეთელი

სილნაღის ეროგაში.

სილნაღის სამაზრო ეროობის გამგეობამ შემდეგი მოხსენება წარუდგინა შინ. საქ. მინისტრს:

„თანდართულ საეროობო გამგეობის სტატისტიკურ ცნობებიდან დაინახავთ თუ რა უბედურება დაატყდა თავს დაწყებული მიმდინარე წლის 29 მაისიდან აქამდე სტიქიურ მოვლენის გამო სილნაღის მაზრის მცხოვრებთ. როგორც ცნობებშიაც არის აღნიშნული, არ დარჩა ისეთი თემი, რომელსაც არ დასტეხოდეს თავს ეს უბედურება. საშინელმა და განუწყვეტელმა სეტყვამ და ნაღვრებმა მთლად წალეკა მინდრის მოსავალი: ვენახები, ბაღები, და სხვა. იყო შემთხვევები ზოგიერთ თემში ორ-სამ სართულიანი სახლის წაღებისა, იყო აგრეთვე ადამიანთა და საქონელთა მსხვერპლიც, როგორც მაგალითად ბოდბიხევის სოფელში. უბედურება, რომ დაატყდა თავს მაზრას, სამაზრო ეროობამ დეპეშით გაუწყეთ თქვენ და დაწვრილებით ზარალის გამოსაკვლევათ დაგზავნა თავის მომუშავე ძალები. და აგრეთვე გამოითხოვა ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტიდან სპეციალისტები, რომელნიც თავის დროზე გეწვევინენ მაზრაში და შეუდგენ მუშაობას. ზარალის გამოსარკვევად მაზრაში მუშაობდა—10-მდე კაცი (მათში 7 ცენტრალურ კომიტეტიდან), რომელნიც მოუნდნენ ამ საქმეს თითქმის ერთ თვეს, რის შემდეგაც გამოირკვა, რომ ზარალი ოდრის შვიდას ოთხმოცდა ცხრამეტ მილიონს ორას ოცდა შვიდი ათას მანეთს (793,227,000 მან.). აქედან სჩანს, რომ სილნაღის მაზრის მდგომარეობა ყოველ მხრივ უნუგეშოა და რომ ყოველივე მოქალაქის გულდაწყვეტილი მდგომარეობა ცოტად მაინც გაუმჯობესდეს და მშიერ-მწყურვალე არ დავტოვოთ, თუ ბევრათ არა ცოტად მაინც საჭიროა დახმარება.

ცხადია, რომ მისდა დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო არ ექმნება საშუალება სავსებით ამ ზარალის ანაზღაურებისა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში [illegible] ესეთი საიმედო დახმარებას [illegible] სამაზრო ეროობას ჰქონდეს საშუალება გაუწოდოს ხელი იმ თემებს და პირთ, რომლებიც ამ უბედურებით გასწორდნენ დედამიწასთან.

მოვახსენებთ რა ზემოალნიშნულს მდგომარეობას, სამაზრო ეროობის გამგეობა გთხოვთ აღძრათ შუამდგომლობა სადაც ჯერაარს, რათა მიეცეს მას მოხსენების თანახმად კრედიტი, არანაკლებ ბუთმეტი მილიონი მან. (15000000) დაზარალებულთა დახმარების აღმოსაჩენად“.

რედაქტორი: გრ. ვეშაპელი

სამხ. სამ. სტამბა, ლორის-ქალაქ., 3

მატარებლების მიმოსვლა

ოქტომბრის 10-დან 1920 წ.

თბილისიდან გადის

ბათუმამდის	№ 3	10. ს.	58 წ. დილ.
ბათუმში ჩადის		7 ს.	27 წ. დილ.
ფოთამდის	№ 9	5. ს.	34 წ. დღით.
ფოთში ჩადის		10 ს.	45 წ. დილ.
ბათუმამდის ჩქარი	№ 7	10. ს.	28 წ. საღ.
ბათუმში ჩადის		5 ს.	52 წ. საღ.
ბორჯომამდის	№ 19	3. ს.	19 წ. დღ.
ბორჯომში ჩადის		11 ს.	25 წ. დღ.
სალ-ოღლამდის		7 ს.	20 წ. დილ.
სანაინამდის		№ 4	8. დილ.
სანაინში ჩადის			5 ს. საღ.
ყახეთისკენ			8 ს. 30 წ. დილ.

თბილისში მოდის

ფოთიდან	№ 10	3. ს.	51 წ.
თბილისში მოდის		9 ს.	16 წ. დღ.
ბათუმიდან	№ 4	4. ს.	9 წ. დილ.
თბილისში მოდის		1 ს.	1 წ. დღ.
ბათუმიდან	№ 8	11 ს.	37 წ. ღამ.
თბილისში მოდის		7 ს.	36 წ. ღამ.
ბორჯომიდან	№ 20	12 ს.	22 წ. ღამ.
თბილისში მოდის		7. ს.	47 წ. დილ.
სალ-ოღლიდან		12 ს.	10 წ. დილ.
სანაინიდან	№ 4	7 ს.	30 წ. დილ.
თბილისში მოდ.		3 ს.	20 წ. დილ.
ყახეთიდან თბილისში მოდ.		8 ს.	20 წ. ს.

შენიშვნა: მატარებელს № 7 თბილისიდან მიყვება სამი ვაგონი პირდაპირ ქუთაისამდის; აქეთ კი მატარებელს № 8 მოყვება ერთი ვაგონი მიქსტი (I—II კლ.) და ორი ვაგონი III კლასისა.

თბილისსა და ბათუმ-ფოთ შორის მატარებლები დადიან 18—20 საათის განმავლობაში.

ბათუმის მატარებლები № 7—8 დროებით არ დადის.

გლეხთა საყურადღებოდ
დამფუძნებელი კრების ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი სათანადო დახმარებას აღმოუჩენს სოფლის მცხოვრებთ გლეხებს ყოველგვარ საერთო—სასოფლო—საჭიროებათა (ადგილ მამულის, სურსათის, ეკლესიის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეების) ზოგზე დასაკმაყოფილებლად სათანადო დაწესებულებათა მიმართ.

ყოველგვარი ცნობები, შუამდგომლობანი და სხვა ამასალა მიიღება **თბილისში:** „ნაციონალისტის“ რედაქციაში დამფუძნ. კრების ქ. № 6